საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური
STATE SECURITY SERVICE OF GEORGIA

SSG 9 17 01969270

16/08/2017

ა/ო "FactCheck"-ის რეგიონულ ანალიტიკოს
ელზა ელბაქიძეს

ელ-ფოსტა: elbakidze.elza@gmail.com
ტელეფონის ნომერი: 591 70 41 68

ქალბატონო ელზა,

თქვენი 2017 წლის 8 აგვისტოს წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ საოკუპაციო ძალების მიერ ოკუპირებულ რეგიონებში წარმოებული ე.წ. ბორდერიზაციის პროცესი, კერძოდ, ხელოვნური ბარიერების, მავთულხლართების, ტრანშეების და ე.წ. საზღვრის აღმნიშვნელი ბანერების ინსტალაციის პროცესი 2011 წლიდან მიმდინარეობს. დღეისთვის, ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის მიმართულებით საოკუპაციო ხაზის საერთო სიგრძე 350 კმ-ზე მეტს შეადგენს და მის გასწვრივ ჯამში დაახლოებით 52 კმ-ზე მეტი სიგრძის მავთულხლართები და ღობეებია დაინსტალირებული. ოკუპირებული აფხაზეთის მიმართულებით, ე.წ. ბორდერიზაციის პროცესის შედეგად გავლებული მავთულხლართების, ღობეების და მიწათხრილების საერთო სიგრძე 48 კმ-ზე მეტია (საოკუპაციო ხაზის საერთო სიგრძე დაახლოებით 145 კმ-ს შეადგენს).

აქვე გაცნობებთ, რომ ცენტრალურ ხელისუფლებას „ბორდერიზაციის“ პროცესის შედეგად სრულად არცერთ სოფელზე დაუკარგავს კონტროლი, თუმცა საერთო ჯამში ,,ბორდერიზაციის“ პროცესმა პირდაპირი ზიანი საოკუპაციო ხაზის გასწვრივ მდებარე გორის, ქარელის და კასპის მუნიციპალიტეტების 20 სოფელს და დაახლოებით 200 ოჯახს მიაყენა, ხოლო ირიბი ნეგატიური გავლენა დაახლოებით 1000 ადგილობრივ ოჯახზე იქონია.

ე.წ. ბორდერიზაციის პროცესის შედეგად:

- 2011 წლის შემოდგომაზე გორის რაიონის სოფელ დიდ ხურვალეთში დაახლოებით 1 კმ-მდე სიგრძის მავთუხლართები დაინსტალირდა;
- გორის რაიონის სოფელ ქვემო ნიქოზში დაახლოებით 3 კმ-მდე სიგრძის მავთუხლართები დაინსტალირდა;

- 2012 წელს გორის რაიონის სოფელ მეჯვრისხევში დაწყებული მავთუხლართებისა და ღობეების ინსტალაციის პროცესი 2013 წლის ივნისის თვეში გაგრძელდა და მისმა საერთო სიგრძემ დაახლოებით 800 მეტრი შეადგინა;
- 2013 წლის დასაწყისში ღობეების მეშვეობით ტერიტორიის გაყოფის პირველი მაგალითი გორის რაიონის სოფელ მერეთსა და ქსუისში დაფიქსირდა, რომლის სიგრძემ დაახლოებით 4 კმ შეადგინა;
- 2013 წელს, ოკუპირებული აფხაზეთის მიმართულებით გაავლეს 3-5 მეტრის სიგანის მიწათხრილები, კერძოდ, გალის რაიონის სოფელ ოტობაიას და ზუგდიდის რაიონის სოფლების განმუხურის და ორსანტიას, გალის რაიონის სოფელ ნაბაკევის და ზუგდიდის რაიონის სოფელ ხურჩის, გალის რაიონის სოფელ თაგილონის და ზუგდიდის რაიონის სოფელ შამგონას და გალის რაიონის სოფელების თაგილონის და ჭუბურხინჯის მიმდებარე ტერიტორიებზე;
- 2013 წლის თებერვალში გორის რაიონის სოფელ გუგუტიანთკარში დაახლოებით 143 მეტრამდე სიგრძის მავთუხლართები და ღობეები დაინსტალირდა;
- ქარელის რაიონის დვანის, თამარაშენისა და ატოცის სოფლების მონაკვეთზე ფრაგმენტულად დაახლოებით 6-8 კმ სიგრძის მავთუხლართები და ღობეები დაინსტალირდა;
- 2013 წლის 27 მაისს, გორის რაიონის სოფელ დიცში 1.5 კმ-მდე სიგრძის მავთუხლართები დაინსტალირდა, რომელიც 2013 წლის ივლისის თვიდან შემოიღობა;
- 2013 წლის მაისიდან დეკემბრამდე ქარელის რაიონის სოფელ კნოლევში, ავლევსა და ცერონისში დაახლოებით 3 კმ-მდე სიგრძის მავთუხლართები და ღობეები დაინსტალირდა;
- 2013 წლის გაზაფხულზე გორის რაიონის სოფელ ბერშუეთში მავთუხლართები და ღობეები დაინსტალირდა. აღნიშნული ბორდერიზაციის პროცესი 2013 წლის დეკემბრის თვეში გაგრძელდა და მისმა სიგრძემ დაახლოებით 1.3 კმ შეადგინა;
- 2013 წლის აგვისტოს დასაწყისში ქარელის რაიონის სოფელ დირბში დაახლოებით 200 მეტრი სიგრძის მავთუხლართები დაინსტალირდა;
- 2013 წლის აგვისტოს დასაწყისში გორის რაიონის სოფელ ჯარიაშენში დაახლოებით 700 მეტრი სიგრძის მავთუხლართები და ღობეები დაინსტალირდა;
- 2013 წლის 19 სექტემბერს, ქარელის რაიონის სოფელ დვანში დაახლოებით 3 კმ-მდე სიგრძის ღობეები დაინსტალირდა. მოგვიანებით აღნიშნული ღობეები გორის რაიონის სოფელ ქვემო ხვითისა და ზემო ნიქოზის ღობეებს შეუერთდა, რომლის საერთო სიგრძემ დაახლოებით 12 კმ შეადგინა;
- 2013 წლის ნოემბრის თვეში გორის რაიონის სოფელი დიციდან დასავლეთის მიმართულებით სოფელ ერგნეთამდე დაინსტალირებული ღობეების სიგრძემ დაახლოებით 5 კმ შეადგინა;
- 2013 წლის 24 ნოემბრიდან, ქარელის რაიონის სოფელ ღოღეთში ღობეების ინსტალაციის ახალი ტალღა დაიწყო. პროცესი 7 თებერვლიდან განახლდა და ახლად დამონტაჟებული მავთუხლართების სიგრძემ დაახლოებით 600 მეტრი შეადგინა;
- 2013 წლის 18 დეკემბერს ქარელის რაიონის სოფელ კოდაში და ოკუპირებულ წნელისში დაახლოებით 2 კმ სიგრძის ღობეები დაინსტალირდა;
- 2013 წლის 18 დეკემბერს, ქარელის რაიონის სოფელ დვანში დაახლოებით 373 მეტრი სიგრძის ღობეები დაინსტალირდა;
- 2013 წლის დეკემბერში, ზუგდიდის რაიონის სოფელ ფახულანის მიმდებარე ტერიტორიაზე მავთულხლართები დაინსტალირდა;

- კასპის რაინის სოფელ საკორინთლოში დაახლოებით 600 მეტრი სიგრძის ღობეები დაინსტალირდა;
- კასპის რაიონის სოფელ თვაურებსა და ოკუპირებულ ახმაჯის ტერიტორიებზე დაახლოებით 900 მეტრი სიგრძის მავთუხლართები დაინსტალირდა;
- 2014 წლის თებერვლის თვეში ქარელის რაიონის სოფელ ატოცში დაახლოებით 2 კმ-იანი სიგრძის მავთუხლართები და ღობეები დაინსტალირდა;
- 2014 წლის ივნისის შუა თვეში, გორის რაიონის სოფელ ქერეში და ოკუპირებულ სოფელ ოტრევში დაახლოებით 500 მეტრი მავთუხლართები დაინსტალირდა;
- 2015 წლის 10 ივლისს, თბილისი-გორის ცენტრალური ავტომაგისტრალის (E60) სიახლოვეს, გორის რაიონის სოფელ წითელუბანში და ოკუპირებული ახალგორის რაიონის სოფელ ორჭოსანის მიმდებარე ტერიტორიაზე ე.წ. საზღვრის აღმნიშვნელი ბანერები დაინსტალირდა;
- 2015 წლის 10-12 აგვისტოს, ქარელის რაიონის სოფელ თამარაშენისა და სოფელ ცერონისის მიმდებარე ტერიტორიაზე ე.წ. საზღვრის აღმნიშვნელი ბანერები დაინსტალირდა;
- 2016 წლის 6 ივნისს, ქარელის რაიონის სოფელი ავლევის მიმდებარე ტერიტორიაზე 2 ე.წ. საზღვრის აღმნიშვნელი ბანერი დაინსტალირდა;
- 2017 წლის 14 ივნისს, გორის რაიონის სოფელი წითელუბნის და ხურვალეთის მიმდებარე ტერიტორიაზე 3 ე.წ. საზღვრის აღმნიშვნელი ბანერი დაინსტალირდა;
- 2017 წლის 19 ივნისს, კასპის რაიონის სოფელი ყარაფილას მიმდებარე ტერიტორიაზე 2 ე.წ. საზღვრის აღმნიშვნელი ბანერი დაინსტალირდა;
- 2017 წლის 19 ივნისს, გორის რაიონის სოფელ ბერშუეთში 3 ე.წ. საზღვრის აღმნიშვნელი ბანერი დაინსტალირდა;
- 2017 წლის ივნისის ბოლოს, გორის რაიონის სოფელ ბერშუეთში 2 ე.წ. საზღვრის აღმნიშვნელი ბანერი დაინსტალირდა;
- 2017 წლის აპრილსა და მაისში, ზუგდიდის რაიონის სოფელ ხურჩის მიმდებარე ტერიტორიაზე, საოკუპაციო ხაზის გასწვრივ დაახლოებით 800-900 მეტრის სიგრძეზე, ხის ბოძები აღმართეს. მ/წ 9-11 აგვისტოს ზემოაღნიშნულ ბოძებზე მავთულხლართები იქნა გავლებული.

პატივისცემით,
სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის
ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) უფროსი **მელანო ფანჯავიძე**

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური / ადმინისტრაცია (დეპარტამენტი)
ადმინისტრაციის უფროსი /დეპარტამენტის დირექტორი/
ფანჯავიძე მელანო